ნათია ზედგინიძე*

დისციპლინური პასუხისმგებლობის სამართლებრივი რეგულირება და ეთიკის წესები საქართველოს საჯარო სამსახურში

აბსტრაქტი

საჯარო სამსახურში ეთიკური სტანდარტების დამკვიდრება და კეთილსინდისიერი მიდგომების ხელშეწყობა სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, მნიშვნელოვანი წინაპირობაა ობიექტური, ეფექტური და ნდობაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის ფუნქციონირებისათვის.

სამართლებრივი ნორმების პარალელურად, ეთიკის კოდექსების შემუშავება წარმატებული მექანიზმია დემოკრატიულ სახელმწიფოებში ანგარიშვალდებული, პასუხისმგებლიანი და განვითარებაზე ორიენტირებული საჯარო სამსახურის უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში დემოკრატიული გარდაქმნებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების პროცესის წარმატება, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საჯარო ინსტიტუტების ჯანსაღ და ქმედით ფუნქციონირებაზე, რაც მიიღწევა, არამხოლოდ გონივრული და სამართლიანი საკანონმდებლო სივრცის შექმნით, არამედ საჯარო მოსამსახურეებში მორალურ-ზნეობრივი მიდგომების ხელშეწყობით, სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა და სამართლებრივი აზროვნების კულტურის ამაღლებით.

მოცემული კვლევაში გაანალიზებულია საქართველოში საჯარო მოსამსახურის დისციპლინური პასუხისმგებლობის მომწეს-

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი.

რიგებელი ნორმებისა და საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის წესების დოკუმენტის შემუშავებისა და ქმედუნარიანობის საკითხი.

საკვანძო სიტყვები: დისციპლინური პასუხისმგებლობა, დისციპლინური გადაცდომა, ეთიკის კოდექსი, საჯარო მოსამსახურე.

შესავალი

დემოკრატიული რეჟიმის არსებობა და მდგრადი განვითარება საჭიროებს სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულ და კოორდინირებულ ფუნქციონირებას. საჯარო სამსახურის ეფექტური მოქმედება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საჯარო საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმების სრულყოფასა და მათი გამოყენების პრაქტიკაზე. ამდენად, მნიშვნელოვანია, კანონმდებლობის პარალელურად საჯარო მოხელის ეთიკური სტანდარტების დამკვიდრება, იმისათვის რომ ხელი შეეწყოს საჯარო მოსამსახურის მიერ სამართლებრივი ნორმების მორალურ-ზნეობრივი გადმოსახედიდან გააზრებას, რაც კანონის აღსრულების შედეგად სამართლიანობის დადგომის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საჯარო სამსახურში საქმიანობა გულისხმობს საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციელებას, კონსტიტუციური ღირებულებების დაცვას, სახელმწიფოსადმი ერთგულებას, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე ანგარიშვალდებულებას და ეთიკური ნორმებით ხელმძღვანელობას. კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება იწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას. ეს უკანასკნელი წარმოადგენს საჯარო მოსამსახურის მიერ პროფესიული საქმიანობის პროცესში გამოვლენილი დარღვევებისათვის პასუხისმგებლობის ფორმას, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო სამსახურის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფას. მნიშვნელოვანია, საჯარო სამსახურში დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხების ჯეროვანი მოწესრიგება, იმისათვის რომ საჯარო მოსამსახურე გათვითცნობიერებული იყოს დისციპლინური გადაცდომების შე-

სამლო ხასიათსა და დისციპლინური საქმისწარმოების პროცედურებთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, ბუნებრივია, არ გამორიცხავს სამოქალაქო თუ სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე (ცუხიშვილი, ნ. 2013).

საჯარო სამსახურის ეფექტურ ფუნქციონირებას და მოხელეთა მხრიდან არასასურველი ქცევის არიდებას სამართლებრივი ნორმების გარდა, ხელს უწყობს საჯარო მოსამსახურის ეთიკის კოდექსი. ეს უკანასკნელი ე.წ. „ნაცრისფერი ადგილების“ გადაჭრას უზრუნველყოფს, რომლებიც შესაძლოა არსებული კანონმდებლობის ხარვეზით იქნეს გამოწვეული. წამყვანი დემოკრატიული სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ როგორც კანონების, ისე მორალური ნორმების დამკვიდრება ეთიკის კოდექსების მეშვეობით, ხელს უწყობს საჯარო სამსახურისა და ზოგადად პოლიტიკური ინსტიტუტების ჯანსაღ ფუნქციონირებას და სამართლებრივი სახელმწიფოს განმტკიცებას (ბესელია, გ. და აღაპიშვილი, ი. 2017).

საქართველოში საჯარო მოსამსახურეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები რეგულირდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის საქართველოს კანონით, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი კანონი ითვალისწინებს დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს და ადგენს დისციპლინურ სახდელს. ამდენად, 2017 წლიდან ჩამოყალიბდა ახალი საკანონმდებლო მოცემულობა (ცუხიშვილი, ნ. 2016). გარდა ამისა, საჯარო მოსამსახურის ეთიკური ვალდებულებები გაიწერა „საჯარო დაწესებულებებში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის N 200 დადგენილებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, განხილულია საქართველოში საჯარო მოსამსახურის დისციპლინური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმებისა და საჯარო მოსამსახურის ეთიკის კოდექსის ძირითადი ასპექტები და მათი მნიშვნელობა საჯარო სამსახურის ჯანსაღი და ეფექტური

ფუნქციონირების პროცესში. კვლევას საფუძვლად დაედო საკითხის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, სამართლებრივი ნორმების, ეთიკის დოკუმენტებისა და კვლევების/ანგარიშების თვისებრივი კონტენტ-ანალიზი.

დისციპლინური პასუხისმგებლობის სამართლებრივი მოწესრიგება საქართველოს საჯარო სამსახურში

დისციპლინური პასუხისმგებლობა წარმოადგენს ზედამხედველობის მექანიზმს, რომელიც მიმართულია უზრუნველყოს საჯარო მოხელის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის პრევენცია, ხელი შეუწყოს საჯარო სამსახურის ეფექტურ ფუნქციონირებას და საჯარო მოხელის სამსახურეობრივი საქმიანობის გაუმჯობესებას.(ცუხიშვილი ნ, 2016) გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები უზრუნველყოფდეს საჯარო მოსამსახურეთა ინტერესების დაცვას. (კასრაძე, ი. 2019)

საჯარო მოსამსახურეები პასუხისმგებლები არიან როგორც საზოგადოების, ასევე მთავრობის წინაშე. საჯარო მოსამსახურის ვალდებულებების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს დისციპლინური, სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციული, სამოქალაქო პასუხისმგებლობა, რაც დამოკიდებულია დამდგარ შედეგზე. დისციპლინური პასუხისმგებლობა, არის შედეგი სამსახურეობრივი ვალდებულებების დარღვევებზე და აქვს საგანმანათლებლო, პრევენციული და რეპრესიული ფუნქცია (კასრაძე, ი. 2019).

დისციპლინური გადაცდომის მოწესრიგების მიზნით, ხშირად ხდება დარღვევების მსუბუქ და მძიმე კატეგორიებში დაჯგუფება, რაც შესაძლოა დაეფუძნოს საკანონმდებლო ნორმებითა და ეთიკის კოდექსით განსაზღვრულ მოვალეობების ჩამონათვალს. დისციპლინური გადაცდომის ამგვარი მოწესრიგება საჯარო მოხელეს შესაძლებლობას აძლევს ჰქონდეს დეტალური ინფორმაცია ქმედების სიმძიმის თაობაზე (ცუხიშვილი, ნ. 2016).

დისციპლინური პასუხისმგებლობის ინსტიტუტი მეტად მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურის გამართული ფუნქციონირებისათვის. საჯარო ადმინისტრაციის უფლება, რომ შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს დისციპლინურ გადაცდომაზე, ხელს უწყობს ვალდებულებების შესრულებას და ანგარიშვალდებულების გაზრდას. კანონმდებლობით დისციპლინური გადაცდომა არის სამსახურეობრივი მოვალეობების გაუფრთხილებლობით ან განზრახ შეუსრულებლობა, საჯარო დაწესებულებისთვის გაუფრთხილებლობით ან განზრახ ქონებრივი ზიანის მიყენება და ეთიკის ნორმებისა და ქცევის წესების დარღვევა, რომელიც ახდენს საჯარო დაწესებულების დისკრედიტაციას (კასრაძე, ი. 2019).

საქართველოში საჯარო სამსახურის საქმიანობას 2017 წლის 1 ივლისამდე არეგულირებდა 1997 წელს მიღებული კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“. აღნიშნული კანონმდებლობა საჭიროებდა დახვეწას, ვინაიდან, მოწესრიგების გარეშე ტოვებდა საჯარო საქმიანობის მნიშვნელოვან ასპექტებს და კანონის აღსრულებისას ორაზროვან პრაქტიკას ქმნიდა. 2015 წელს საქართველოს პარლამენტმა საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში, დაამტკიცა ახალი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავდა არსებული ნორმების სრულყოფას. კანონში გაჩნდა დისციპლინური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი თავი და საკანონმდებლო დონეზე მოხდა დისციპლინური გადაცდომის ცნების განსაზღვრა (კასრაძე, ი. 2019).

საქართველოში დისციპლინური გადაცდომის მომწესრიგებელი ნორმები ზოგადია და არ ადგენს თუ რის საფუძველზე ხდება ქმედების ამა თუ იმ კატეგორიისადმი მიკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ ახალი კანონმდებლობით დისციპლინური პასუხისმგებლობის სამართლებრივი რეგულირება შედარებით გაუმჯობესდა, მთელი რიგი ნორმები საჭიროებს დახვეწას, მეტ სიცხადესა და დეტალურ მოწესრიგებას. აღნიშნულ საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დისციპლინური გადაცდომის წინასწარ განჭვრეტის და შემდგომ, შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებ-

ლობის შეფარდების პროცესში. ვინაიდან, დისციპლინური გადაცდომის ბუნდოვანი და ზოგადი დეფინიცია საჯარო დაწესებულებას ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას აძლევს (ცუხიშვილი, ნ. 2016).

მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმი არ იქნეს არასათანადოდ გამოყენებული საჯარო მოსამსახურეების მიმართ. დისციპლინური გადაცდომის ყოველ შემთხვევას, საჭიროა მოჰყვეს დამრღვევის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება და დაუშვებელია, სტატუსიდან გამომდინარე პრივილეგიებით სარგებლობა. საჯარო მოხელისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი მოითხოვს პროპორციულობისა და მართლზომიერების დაცვას. ამდენად, დისციპლინური გადაცდომის სიმძიმისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს სახდელის შეფარდება (ცუხიშვილი, ნ. 2016).

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი არ განსაზღვრავს დისციპლინური წარმოების წესს და პრაქტიკაში ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების გამოყენება. დისციპლინური წარმოების პროცესის სამართლებრივი რეგულირების არარსებობა, შესაძლებლობას იძლევა საჯარო დაწესებულებებმა გამოიყენონ ფართო დისკრეციული უფლებამოსილება. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ არსებული კანონმდებლობა დაიხვეწოს და აღნიშნულ პროცესში, შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს ევროპის სახელმწიფოების საუკეთესო გამოცდილება (ცუხიშვილი, ნ. 2016).

საჯარო მოსამსახურის ეთიკის კოდექსი და საქართველო

საჯარო მოსამსახურეთა კეთილსინდისიერი და პროფესიონალური მიდგომების დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანია ეთიკური მმართველობის უზრუნველყოფა. ხშირ შემთხვევაში შესაძლოა სამართლებრივი ნორმები უძლური აღმოჩნდეს საჯარო მოხელის მიერ ამა თუ იმ გადაცდომასთან მიმართებაში. ამდენად, ეთიკური

სტანდარტების დამკვიდრება ხელს უწყობს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გასწორებას.

ეთიკის პრაქტიკაში გატარება სხვადასხვა მექანიზმებით ხდება. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში ეთიკისა და ქცევის კოდექსების შემუშავება მიიჩნევა მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ეთიკური ღირებულებების დამკვიდრებისა და განმტკიცების პროცესში. გარდა იმისა, რომ ეთიკის კოდექსები ხელს უწყობს ეთიკური ღირებულებების გაძლიერებას საჯარო სამსახურში, აგრეთვე, ინფორმაციას აწვდის საჯარო მოხელეებს თუ როგორი ქცევა არის სწორი და არასწორი.

ეთიკური პრინციპების პრაქტიკაში დამკვიდრების სხვადასხვა მოდელებს გამოყოფენ. ქცევის შესაბამისობის მოდელი უფრო მეტად ორიენტირებულია საჯარო მოსამსახურეთა ქცევის გარეგანი მოწესრიგებისკენ. მიმართულია ფორმალური წესებისა და პროცედურების შემოღებისკენ, აქედან გამომდინარე, არსებული წესების შესაბამისად შემოიფარგლება ინდივიდუალური ეთიკური არჩევანი. კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული მოდელი კი უფრო მეტად ფოკუსირებულია საჯარო მოსამსახურეთა ქცევის შინაგანი დამოკიდებულებისა და კონტროლის მოწესრიგებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მოდელი ერთმანეთს ავსებს, რადგან თუ პირველი მოდელი უზრუნველყოფს ეთიკური ღირებულებების ერთიანი სტანდარტების ჩამოყალიბებას, მეორე მოდელი მიმართულია საჯარო მოხელეთა შინაგანი მზაობის გაძლიერებისკენ ეთიკური სტანდარტების დასაცავად. საჯარო მოსამსახურის მიერ მოვალეობების კეთილსინდისიერად და პატიოსნად განხორციელების პროცესში უმთავრეს ვალდებულებას წარმოადგენს ეთიკის ნორმების დაცვა (ბესელია, გ. და აღაპიშვილი, ი. 2017).

ეთიკის კოდექსი ხელს უწყობს მაღალი მორალური სტანდარტების დამკვიდრებასა და დაცვას, რაც მნიშვნელოვანია დემოკრატიული სისტემის მდგრადობისთვის. საჯარო სამსახურის ეთიკა მომდინარეობს სხვადასხვა წყაროებიდან, როგორიცაა დაწესებულების შიდა კულტურა, კანონმდებლობა, საერთაშორისო

კონვენციები, საჯარო მოსამსახურის ინდივიდუალური ეთიკური ხასიათი და სხვა. საჯარო მოსამსახურეების ეთიკის კოდექსში ასახულია პირადი მორალური პრინციპები, სამართლებრივი რეგულაციები და პროფესიული საჯარო სამსახურის ღირებულებები (კასრაძე, ი. 2019).

მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში ეთიკისა და ქცევის წესების მოქმედება სხვადასხვა ფორმით ხდება. ის შეიძლება იყოს რეგლამენტირებული საკანონმდებლო აქტებით ან შიდა მოწესრიგების დოკუმენტებით. საჯარო მოსამსახურის ეთიკის კოდექსის არსებობა შეგვიძლია დასავლურ მიდგომად მივიჩნიოთ, რადგან მტკიცედ არის დამკვიდრებული ევროპულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში. რაც შეეხება ბალტიის ქვეყნებს, ესტონეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც მიიღო საჯარო სამსახურის ეთიკის კოდექსი 1999 წელს. აზერბაიჯანში კი საკანონმდებლო დონეზეა მოწესრიგებული ზემოაღნიშნული საკითხი (კასრაძე, ი. 2019).

საქართველოში 2017 წელს დადგინდა ეთიკური ვალდებულებები „საჯარო დაწესებულებებში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ.“. მანამდე მოქმედებდა 1997 წელს მიღებული კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, სადაც ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ მიმართული უღირსი საქციელი მიიჩნეოდა დისციპლინურ გადაცდომად. 2017 წლის დადგენილება ეთიკისა და ქცევის წესების შესახებ საკმაოდ დაწვრილებით ასახავს პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს, რის პრაქტიკაში გატარების ვალდებულებაც აქვთ საჯარო მოხელეებს. (საჯარო დაწესებულებებში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ 2017).

სახელმწიფოების უმრავლესობაში ეთიკური ნორმები გაწერილია კოდექსებში და საჯარო მოსამსახურეებს ეკისრებათ მათი დაცვის ვალდებულება, თუმცა განსხვავდება რეგულირების ფარგლები. რიგ სახელმწიფოებში ვხვდებით ქცევის ზოგად პრინციპებსა და ღირებულებებს, სადაც დანერგვის პროცედურები არ არის გაწერილი. მრავალი სახელმწიფო ამჯობინებს რომ კოდექსში გაწე-

რილი იყოს პასუხისმგებლობები და სანქციები, რაც მოჰყვება ეთიკურ გადაცდომას. მაგალითად, ბულგარეთში ქცევის კოდექსში მითითებულია, რომ დარღვევის შემთხვევაში საჯარო მოსამსახურეებს დაეკისრებათ „საჯარო სამსახურის შესახებ“ არსებული კანონმდებლობითა და შრომის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის დადგენილება „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის წესების განსაზღვრის შესახებ“ განსაზღვრავს ეთიკური ქცევის ვალდებულებებს და არ მოიცავს განხორციელების მექანიზმებს. გარდა ამისა, არც დარღვევის სამართლებრივ შედეგზე ხდება მითითება, თუმცა კანონი განმარტავს, რომ მოხელისა და საჯარო დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული ეთიკური ნორმების დარღვევა ან უგულებელყოფა სამსახურში თუ მის გარეთ, წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. ამდენად, ახალი კანონი შედარებით აკონკრეტებს და დისციპლინურ გადაცდომად თვლის ეთიკისა და ქცევის წესების უგულვებელყოფას რომელიც საჯარო სამსახურის დისკრედიტაციისკენ არის მიმართული. გამომდინარე იქიდან, რომ ეთიკისა და ქცევის წესების არსებული დოკუმენტი ფართო პრინციპებსაც მოიცავს, რთულდება ქმედების ეთიკურობის შეფასება. ამდენად, არაეთიკური ქცევების ცალსახა განსაზღვრების არარსებობის პირობებში არსებობს ეთიკური ნორმის დარღვევის დისციპლინურ გადაცდომად კვალიფიკაციის პრობლემა (კასრაძე, ი. 2019).

დასკვნა

საჯარო მოსამსახურე ვალდებულია იყოს ხალხისა და სახელმწიფოს ერთგული, რაც გამოიხატება სამსახურეობრივი უფლებამოსილების კეთილსინდისიერად შესრულებაში. ამდენად, მნიშვნელოვანია, საჯარო მოხელეები აცნობიერებდნენ, რომ მათ მიერ ჩადენილი ნებისმიერი გადაცდომა, საფრთხეს უქმნის საჯარო სამსახურის ეფექტურ ფუნქციონირებას და საზოგადოების თვალში ნდობას უკარგავს სახელმწიფო ინსტიტუტებს, რაც საბოლოო ჯამში ძირს უთხრის სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს იდეას.

მსოფლიოს წარმატებული დემოკრატიული სახელმწიფოები აღიარებენ, რომ სამართლებრივი და მორალური ნორმების კომბინაციით შესაძლებელია საჯარო მოსამსახურეების მიერ სამსახურეობრივი გადაცდომების პრევენცია და კეთილსინდისიერი მიდგომების ხელშეწყობა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოს გაცხადებული მიზანია დემოკრატიული რეჟიმის დამკვიდრება, რაც თავისთავად მოითხოვს შესაბამის პოლიტიკურ, ინსტიტუციონალურ და კულტურულ ცვლილებებს. მართალია, საქართველოს საჯარო სამსახურში დისციპლინური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები და საჯარო მოსამსახურის ეთიკის კოდექსი მიზნად ისახავს საჯარო სამსახურის ეფექტიანობას, თუმცა მნიშვნელოვანია, კვლავ გაგრძელდეს აღნიშნული კუთხით მუშაობა, რაც საჭიროებს დისციპლინური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმების სამართლებრივ სრულყოფას და ეთიკური სტანდარტების აქტიურ დანერგვას საჯარო მოსამსახურის ყოველდღიურ საქმიანობაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის გარეშე, რთულია საჯარო მოსამსახურის საქმიანობის კონტროლი. ეთიკურ გადაცდომაზე პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომების არარსებობა, ნორმად ამკვიდრებს არაეთიკურ მიდგომებს. ამდენად, აუცილებელია საჯარო სამსახურში თითოეული პათოლოგიის გა-

მოვლენა, შესწავლა და ეთიკური გარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები.

გამოყენებული ლიტერატურა

საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ. თბილისი. Retrieved მაისი 10, 2023, from https://matsne.gov.ge/ka/document/view/3645402?publication=0

ბესელია, გ. დ. (2017). ეთიკა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში. თბილისი. Retrieved მაისი 14, 2023, from http://www.csb.gov.ge/media/1672/etika-da-qcevis-wesebi.pdf

კასრაძე, ი. (2019). საჯარო სამსახურში დისციპლინური გადაცდომის არსის განმსაზღვრელი სამართლებრივი ნორმების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. *სამართლის ჟურნალი*, 264-280.

ცუხიშვილი, ნ. (2013, ივლისი). დისციპლინური პასუხისმგებლობა საჯარო სამსახურში. OSF. Retrieved მაისი 12, 2023, from https://idfi.ge/public/migrated/uploadedFiles/files/%e1%83%93%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%9e%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%98%20%e1%83%9e%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%a3%e1%83%ae%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%9b%e1%83%92%e1%83%94%e

ცუხიშვილი, ნ. (2016). დისციპლინური პასუხისმგებლობა საჯარო სამსახურში: კანონმდებლობა, ადმინისტრაციული და სასამართლო პრაქტიკა. თბილისი. Retrieved მაისი 12, 2023, from https://gyla.ge/files/news/2016%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90/disciplina_geo.pdf

Natia Zedginidze

Judicial Regulation of Disciplinary Conviction and Ethical Issues in the Public Sector of Georgia

Abstract

Establishing ethical standards in the public service and promoting conscientiousness in the exercise of official authority is an important prerequisite for the functioning of an objective, efficient and trustworthy public service.

Together with legal norms the development of codes of ethics is a successful mechanism for ensuring an accountable, responsible and development-oriented public service in democratic states. Therefore, we can say that the success of the process of democratic transformations and the formation of the rule of law in Georgia depends significantly on the healthy and effective functioning of public institutions, which is achieved not only by creating a reasonable and fair legislative space, but also by promoting moral and ethical approaches among civil servants, state awareness and raising the culture of legal thinking.

Based on the above, this study analyses the issue of the development and effectiveness of the document regulating the disciplinary responsibility of civil servants and the rules of ethics and conduct in public service in Georgia.

Keywords: Disciplinary liability, Disciplinary Misconduct, Code of Ethics, Rules of conduct, Civil Servant